

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერჯია“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2011 წლის 1 დეკემბერს ('ძალაში შესვლის თარიღი')

შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის, ალექსანდრე ხეთაგურის მიერ;

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, წარმოდგენილი დირექტორის, ირინა მილორაგას მიერ

და

შპს „ენერჯია“, წარმოდგენილი გაიოზ უგრეხელიძის მიერ.


1. მხარეები თანხმდებიან, ცვლილება შევიდეს ლარსი ჰესის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერჯია“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“), კერძოდ ჰიდროელექტროსადგურის სიმბლავრე განისაზღვროს 19 მეგავატით და შესაბამისად, მემორანდუმის დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. ურთიერთგაგების მემორანდუმის ყველა სხვა პირობა უცვლელი რჩება და ინარჩუნებს სრულ იურიდიულ ძალას.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს, ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მემორანდუმთან ერთად.

ხელმომწერი მხარეები:

საქართველოს მთავრობა

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“


შპს „ენერჯია“




დანართი №2

სიმძლავრე

№		დადგენილი სიმძლავრე მგვტ.
1.	დარსი ჰესი	19.00





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

010148947958011

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge *010148947958011
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№51431

30 / ნოემბერი / 2011 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და ზენებრივი
რესურსების მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ენუქიძეს


ქალბატონო ნინო,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 29 ნოემბრის №04/5146 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯია“-სა და შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
მინისტრის პირველი მოადგილე

თინა ბურჯალანი



**საქართველოს მთავრობის
განკარგულება**

№2306 2011 წლის 1 დეკემბერი ქ. თბილისი

**2011 წლის 17 მაისს დადებული ურთიერთგაგების
მემორანდუმის შესახებ**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერჯიას“ შორის დასადები შეთანხმების პროექტი ლარსის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა.

პრემიერ-მინისტრი

